ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი: (თანამდებობის პირი) ლია შაქარიშვილი

თანამდებობის დასახელება: განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება : „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

კომისიის დასახელება :განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიების წევრი

არჩევის წესი: პროპორციული
საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის 1 ნოემბრიდან - დან 2023 წლის 1 ნოემბრამდე

ანგარიშის ტიპი (რიგითი)

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 17

   საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 16

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 16

   კომისიის სხდომებზე დასწრება - 16 მ/შ დროებით კომისიებში

3.სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

1, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი პროგრამის დებულებაში (კრიტერიუმების ნაწილი)ცვლილება-დაზუსტებების შეტანის რეკომენდაციის გაწევა მუნიციპალიტეტის მერზე.

2. ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხარის წარმომადგენლობა და შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა პარლამენტის კულტურის კომიტეტთან თანამშრომლობის გზით.

3. ლიტერატურულ კონკურს „პეგასი"-ს კოორდინაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემოქმედი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი ჩართვა

4. პოეტისა და მწერლის ამირან ხაბაზის საიუბილეო საღამოს ჩატარების ინიცირება (შესაბამისი ფინანსური ასიგნების გათვალისწნება 2023 წლის ბიუჯეტში) მუნიცილიტეტის მერზე და მწერალთა სახლზე შემოქმედის წიგნის გამოცემაზე შუამდგომლობა

5. 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის ეტაპზე რეკომენდაციების შმუშავება გენდერულ ჭრილში: ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამის ამოქმედების მოთხოვნა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის ინიცირება.

ინიცირებული საკითხები და მიღებული იქნა----დადგენილება, განკარგულება.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცება

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 70

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 350

8. მოქალაქეებთან შეხვედრებზ ეგამოთქმული ძირითადი საკითხები
სოციალური ხასიათის-მატერიალური მხარდაჭერა, ჯანდაცვა, დასაქმება, ბინის ქირით უზრუნველყოფის მოთხოვნა, ინფრასტრუქტურული საკითხები

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები(მათ შორის, კონკრეტული საკითხები)
შუამდგომლობა შსაბამის უწყებებთან, მოქალაქეთა საჭიროებების მიხედვით ინიციატივების დაყენება

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერ პროგრამაში“ მონაწილეობის მიღების მსურველი ქალების კონსულტირება ბიზნეს-იდეის გამართვის საკითხში.
2. ქალთა ფონდ „სოხუმი“-სა და ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თანამშრომლობით განხორციელებული ერთობლივი პროექტი-კვლევა, რომელიც მოიცავდა 2022 წლის ივნის-ივლისში ჩატარებულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებების გაძლიერების მიზნით, ადგილობრივ რესრსცენტრთან თანამშრომლობის გაღრმავების ხელშწყობა
3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ესეების კონკურსში „ქორწინება ადრეულ ასაკში და ნაადრევი ქორწინებისგან გამოწვეული შესაძლო რისკები და უარყოფითი მხარეები“ შესარჩევი კონურსის ჟიური
4. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიაზე მირთება, სხვადასხვა აქტივობების განხორციელება
5. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეხვედრები პერსონალთან გენდერული თანასწორობის, ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუციებზე, ეროვნულ და საყოველთაოდ სღიარებული დეკლარაციების, მუნიციპალური პროგრამებისა გაცნობა და მათში ჩართულობის ხელშწყობა
6. აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქობულეთის მუნიციპალიტის გენდერულ საბჭოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება
7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი ნარინჯისფერი კამპანიის ფარგლებში განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილისა და უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს

მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში ქობულეთში რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლ ქალებზე SOS აპლიკაცია ჩაშენებული ტელეფონებისა და საკვები პროდუქტების გადაცემა

9. სიღრმისეული ინტერვიუ ქალთა ფონდ „სოხუმი“-სა და კანადის თანასწორობის ფონდის მიერ დაფინასებულ ერთობლივი პროდუქტის -ვებგვერდი ძალადობის მსხვერპლთა ციფრული რესუსცენტრის ეფექტიანობის შესახებ, მისი ხელმისაწვდომობისა და პოპულარობის გაზრდის, არსებული რუბრიკების შიგნით საკითხების დამატებისა და გაუმჯობესების შესახებ
10. გენდერული თანასწორობის პოლიტიკურ ფორუმში მონაწილეობა (2023 წლის 28 თებეფრვალი, სასტუმრო მეტეხი-პალასი) . აღნიშნული პოლიტიკური ფორუმი ქმნის თანამშრომლობის პლატფორმას, რათა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებმა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, დიპლომატიური კორპუსის, განვითარების საერთაშორისო პარტნიორების წარმომადგენლებმა შეაფასონ მიღწეული შედეგები და დაგეგმონ მომავალი თანამშრომლობა პოლიტიკაში თანასწორი წარმომადგენლობის და თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის.
11. განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის კოორდინაციით, საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას-გეორგიკასთან“ ერთად ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავება ბავშვებისთვის მშობლების მიგრაციის გავლენის შესამსუბუქებლად.
12. მუნიციპალური გენდერული საბჭოს ორგანიზებით, საკრებულოსა და საბჭოს წევრები დაუნის სინდრომის საერთაშირისო დღეს, ჭრელი წინდების აქციით შეუერთდნენ
13. ქალთა ფონდ „სოხუმი“-სა და განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიასთან თანამშრომლობით პროექტი ქობულეთელი უფროკლასე;ებსთვის: „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“
14. ქალთა ფონდ „სოხუმი“-სა და განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიასთან თანამშრომლობით პროექტი ქობულეთელი უფროკლასე;ებსთვის: ძალადობის პრევენცია და კონფლიქტების მართვა. პროექტი 5 თვის მანძილზე მიმდინარეობდა
15. 2022 წელს ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს ანგარიშის წარდგენა საკრებულოსთვის
16. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქალთა ფონდი „სოხუმის“ ინიცირებით, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან, მერიის ბავშვთა უფლებების განყოფილებასთან თანამშრომლობით გ ინფორმაციის გაცვლის მიზნით შეხვედრის ორგანიზება თემაზე „ადგილობრივი თანამშრომლობა ბავშვზე/ოჯახებზე ორიენტირებული ფსიქო-სოციალური გარემოსთვის“.
17. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს მიერ „ვარდისფერი ოქტომბრის“ საერთაშორისო თვეზე სხვადასხვა აქციით მიერთება. მათ შორის, საინფორმაციო კამპანია ქუჩაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალების სკრინინგის მიზნით ბათუმში, შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანა.

18. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს ორგანიზებით, ქალთა ფონდ „სოხუმთან“ პარტნიორობით, მრგვალი მაგიდა ადგილობრივი რეფერირების სუბიექტების წარმომადგენლების მონაწილეობით

შევსების თარიღი 31.10.2023წ

წარდგენის თარიღი 01.11 2023წ

ხელმოწერა /ლია შაქარიშვილი/